ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3600100

ნომერი: AR1547552

თარიღი : 09.10.2017

გაცემის თარიღი : 16.10.2017

გაცნობის თარიღი : 16.10.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჯუმბერ ლეჟავას ქუჩა N22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოუჭან ჩენ პ/ნ 01991001760
- თბილისი ვაზისუბნის III მ/რ II კვ. კორ. 14 ბ. 59

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 09 ოქტომბრის AR1547552 განცხადება, რომელშიც ითხოვთ სამსახურის მიერ 2013 წლის 21 ნოემბრის №987663 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას. პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან ქ. თბილისის მერის 2013 წლის 11 ნოემბრის N2552 განკარგულებაში დაფიქსირებულია N01.17.06.012.091 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, განახლებული საკადასტრო მონაცემების დაფიქსირებით ცვლილება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისის მერის 2013 წლის 11 ნოემბრის N2552 განკარგულებაშიც. საკითხის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომაზე განსახილველად უნდა წარმოადგინოთ ქალაქგეგმარებითი დასაბუთება მიწის ნაკვეთის შეცვლილი კონტურის გათვალისწინებით. ასევე გაცნობებთ, რომ ცვლილების განსახორციელებლად უნდა წარმოადგინოთ ადმინისტრაციული აქტის მესაკუთრის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა ცვლილების განხორციელების თაობაზე. შპს შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ასევე ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სს ფანდ ინვესთმენთის პასუხისმგებელი პირის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა და განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 09 ოქტომბრის AR1547552 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.